საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/83 "26" ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. გრატიაშვილის ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №1/35 განკარგულებით ინიცირებულ იქნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ სასამართლოში მოსამართლის 7 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 3 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 3 მოსამართლის, მათ შორის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის - გიორგი გრატიაშვილის განაცხადი. გ. გრატიაშვილს აქვს აღნიშნულ სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის 4-წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი 2018 წლიდან თანამდებობაზე გამწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. იგი უფლებამოსილებას ახორციელებს ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ სასამართლოში, შესაბამისად, მას აქვს უნარი გააგრძელოს მუშაობა ბოლნისის რაიონული სასამართლოს დატვირთვის პირობებშიც. ამასთან, გასათვალისწინებელია გასაუბრების დროს მოსამართლის მიერ მითითებული სამუშაო ადგილის შეცვლის პირადი მოტივაციაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, გიორგი გრატიაშვილი გათავისუფლდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, 2020 წლის 1 ივლისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი